საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კავკასიური სახლი“

„კავკასიური სახლი“, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი. შეიქმნა 1993 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ყოფ. მხატვრული თარგმანისა და *ლიტ.* ურთიერთობათა მთ. სარედაქციო კოლეგიის ბაზაზე და არის მისი სამართალმემკვიდრე. ექვემდებარება საქართვ. კულტურის სამინისტროს (გამგეობის თავ-რე ნ. გელაშვილი). იგი ხელს უწყობს საქართვ. და კავკ. ხალხთა კულტ. მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვა-გადარჩენას, საქართველოსა და კავკასიაში მშვიდობის დაცვასა და დემოკრ. აღმშენებლობას, საზ-ბის ჰუმანიზაციას, ახალგაზრდობის განათლებას, ეკოლ. უსაფრთხოებას, კავკ. ხალხების ინტეგრაციას.

„კ. ს-ის" განყ-ბები: კავკასიური (ქართ., ადიღეური, აფხ., ყარაჩაიჩერქეზული, ჩაჩნურ-ინგუშური, დაღესტნური, ოსური, სომხ., აზერბ. და სხვ. სექციები); სლავური; ესპანურ-ამერიკული; აღმოსავლური; კულტურის, პოლიტიკისა და ეკოლოგიის; საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული; ფუნქციონირებს სმირნოვების საგვარეულო მუზეუმი – ა. ს. პუშკინის მემორიალი; ქართ. (კავკ.) რეწვის სახელოსნო (ხდება ნამუშევრების მუდმივი გამოფენაგაყიდვა); გამომც. „კ. ს-ის" ცენტრის მიერ დაარსებული საზ-ბები: ა. ს. პუშკინის საერთაშ. საზ-ბა, რაინერ მარია რილკეს საერთაშ. საზ-ბა; კავკ. ხალხთა გილდია; კავკ. ხალხთა სოლიდარობის ფონდი. „კ. ს-ის" სამეცნ.-*პოლიტ.* საბჭო საჭიროების შემთხვევაში აფასებს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს და საჯაროდ აფიქსირებს თავის პოზიციას.

„კ. ს." 2 თვეში ერთხელ უშვებს *ლიტ.*, რელიგ.-ფილოს. და საზ. ჟურნ. „აფრას" (1999-იდან), აგრეთვე გამოსცემს წიგნებს, ჟურნალებს („კავკაზსკი აქცენტ", „მრავალსახოვანი ქვეყანა", „ჩვენი სოფელი", „ალტერნატივა", „პოლიტიკის დოკუმენტები").

თ. ალიბეგაშვილი